

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასება და უვადოდ განწესება

კანონმდებლობა და პრაქტიკა



**USAID**  
ამერიკელი ხალხისაგან



EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

თბილისი, 2017

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უფასოება და უვადოდ განწესება

კანონმდებლობა და პრაქტიკა

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. შეიძლება ის არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

თბილისი  
2017

ანგარიში მომზადებულია პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. წინამდებარე ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აშშ-ის მთავრობის და EWMI-ის შეხედულებებს.

**ავტორები: ეკატერინე ციხაკურიძე  
ნილო ნოზაძე  
გიორგი ტაბატაძე**

**რედაქტორი: ხათუნა ჰვირაღაშვილი**

**ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი**



აინყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ძირითადი მიგნებები .....	5
ზოგადი მიმოხილვა .....	7
1. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების მარეგულირებელი კანონმდებლობა .....	10
1.1. წილისყრის პროცედურა .....	11
1.2. მოსამართლისათვის შეფასების პროცედურისა და გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება .....	13
1.3. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების კრიტერიუმები .....	15
1.4. შემფასებლის მიერ შეფასების განხორციელება .....	16
1.5. მოსამართლის უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარი .....	19
1.6. უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ თავმჯდომარის აქტის გასაჩივრების ნესის ხარვეზები .....	20
1.7. მოსამართლის თვითშეფასება და გასაუბრება .....	22
1.8. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი .....	23
2. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პრაქტიკა .....	25
2.1. საბჭოდან მიღებული საჯარო ინფორმაცია .....	26
2.2. შემფასებლების მიერ მოსამართლეთა საქმიანობის შესახებ მომზადებული დასკვნების ანალიზი .....	27
2.3. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი .....	30
2.4. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა .....	31
2.5. პიროვნული და პროფესიული ქცევა .....	32
2.6. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია .....	34

2.7. ფინანსური ვალდებულება .....	35
2.8. კომპეტენტურობის კრიტერიუმი .....	36
2.9. სამართლის ნორმების ცოდნა .....	37
2.10. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია .....	38
2.11. წერის უნარი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი .....	39
2.12. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში .....	40
2.13. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა .....	41
რეკომენდაციები .....	42

## **ძირითადი მიგნებები**

### **მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებული მიგნებები**

- გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცესის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ორგანული კანონით არის დადგენილი, არ შეიცავს საკმარის გარანტიებს მოსამართლის ობიექტური და გამჭვირვალე პროცესით შეფასებისთვის;
- გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც ორგანული კანონით არის დადგენილი, იძლევა სუბიექტური და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, არ ადგენს გამჭვირვალობის საკმარის სტანდარტს;
- 2013 წლიდან დღემდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა შეფასებას ისე, რომ არ აქვს მიღებული კანონქვემდებარე აქტი, რომელიც გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცესს დეტალურად მოაწესრიგებდა.

### **გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პრაქტიკასთან დაკავშირებული მიგნებები**

- გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების მარეგულირებელი ნორმები და უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი არ შეიცავს მოსამართლის ობიექტური და გამჭვირვალე პროცესით შეფასებისთვის საკმარის გარანტიებს და იძლევა სუბიექტური და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
- 2013 წლიდან დღემდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა შეფასებას ისე, რომ არ აქვს მიღებული კანონქვემდებარე აქტი, რომელიც გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცესს დეტალურად მოაწესრიგებს;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმები ზოგიერთი შემფასებლის მიერ იმგვარად არის შევსებული, რომ შეფასების რიგ კომპონენტებში კონკრეტული

დასაბუთების არარსებობის გამო, შეფასება არ არის მორგებული კონკრეტულ მოსამართლეზე და ნებისმიერ მოსამართლეს შეიძლება მიემართებოდეს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რიგ კომპონენტებში შეფასების ანგარიშები შაბლონურია, განსაკუთრებით, კეთილსინდისიერების კომპონენტთან მიმართებით;

- ანგარიშებში დასკვნები ისეა გაკეთებული, რომ არ იკვეთება, რას დაეყრდნო შემფასებელი აღნიშნული დასკვნის გამოტანისას. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ანგარიშებს საერთოდ არ ერთვის იმ დოკუმენტაციისა თუ სხვა მასალების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა შემფასებელი.
- მოსამართლის **კეთილსინდისიერების** კრიტერიუმით შეფასებისას შემფასებლები აღნიშნავენ, რომ ეყრდნობიან სხვადასხვა დაწესებულებიდან გამოთხოვნილ, ასევე, პირთა გამოკითხვის გზით მიღებულ ინფორმაციებს, სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერების შესწავლის შედეგებს და ა.შ. თუმცა, დასკვნების წაკითხვისას ძნელია იმის დადგენა, კონკრეტულად რა ინფორმაციამ მიიყვანა შემფასებელი დადებითი დასკვნის გაკეთებამდე.
- მოსამართლეების შეფასება **კომპეტენტურობის** კრიტერიუმის მიხედვით, ძირითადად, ეყრდნობა მოსამართლის მიერ განხილული კონკრეტული საქმეების შესწავლას, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით უნდა იყოს შერჩეული. თუმცა, ანგარიშებიდან შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მეთოდოლოგიით მოხდა საქმეების შემთხვევით შერჩევა. ასევე, გაურკვეველია, რა მეთოდოლოგიის გამოყენებით შეფასდა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და აქვთ თუ არა შემფასებლებს ერთიანი მიდგომები გადაწყვეტილებათა შეფასებისას.
- წინასწარ არ არის დადგენილი, თუ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს მოსამართლე ყოველი კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ინფორმაცია, რომელიც ცალკეული კრიტერიუმით შეფასებისთვის იყო გამოყენებული, შესაძლოა, არასაკმარისი ან არარელევანტური იყოს.

## ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს განხორციელებული ცვლილებებით შემოღებულ იქნა მოსამართლის უვადოდ დანიშვნის წესი, რასაც შესაძლოა წინ უძღოდეს მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნა. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილებებით დადგინდა, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეები დაინიშნებიან სამწლიანი გამოსაცდელი ვადით და მხოლოდ ამ ვადის წარმატებით გავლის შემდეგ მოხდება მათი უვადოდ განწესება მოსამართლის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციით გამოსაცდელი ვადის დაწესების შესაძლებლობა უარყოფითად იყო შეფასებული ვენეციის კომისიის მიერ.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, წინა ხელისუფლების პირობებში კონსტიტუციით დაწესებული მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობა ახალმა ხელისუფლებამ 2013 წლის ნოემბრიდან ამოქმედა. 2013 წლის ნოემბერშივე სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა პირველი 12 მოსამართლე და დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ გამოსაცდელი ვადით დაინიშნული მოსამართლეების ყოველწლიური შეფასების პროცესი. 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით, საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედი 267 მოსამართლიდან გამოსაცდელი ვადით დაინიშნა 156. აქედან, ანგარიშის მომზადების დროისათვის, გამოსაცდელი ვადა წარმატებით გავლილად ჩაეთვალა და მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დაინიშნა 21 მოსამართლე.

აღსანიშნავნია გამოსაცდელი ვადით მოსამართლის დანიშვნის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც 2017 წლის 8 თებერვალს იყო მიღებული, გამოსაცდელი ვადის გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლდნენ საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი და მოქმედი მოსამართლეები. გამოსაცდელი ვადის მარეგულირებელ კანონმდებლობაში დამატებითი ცვლილებების შეტანის საჭიროება

<sup>1</sup> მათ შორის CDL-AD(2014)031



წარმოშვა 2017 წლის 15 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ.<sup>2</sup> გადაწყვეტილების თანახმად, მოსამართლე, რომელსაც აქვს ნებისმიერი ინსტანციის საერთო ან საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება, არ უნდა დაექვემდებაროს გამოსაცდელ ვადას და მისი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს მისი წარსული სამოსამართლო საქმიანობის შეფასების საფუძველზე. გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით განხორციელებულ და განსახორციელებელ ცვლილებებს საია მოგვიანებით შეაფასებს. თუმცა, ყურადსაღებია ის პრაქტიკული ხარვეზები, რომლებიც უკვე გამოიწვია ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა. კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ცდილობს, ყოველგვარი შეფასების გარეშე, ე.წ. მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე და საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების იგნორირებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გაამწესოს გამოსაცდელი ვადით დანიშნული ცალკეული მოსამართლეები.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესის სრულად გაუქმებას უჭერს მხარს. წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს, გააანალიზოს მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოვლენას და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისთვის სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

მონიტორინგის ჯგუფმა გააანალიზა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების მარეგულირებელი კანონმდებლობა და, ასევე, 2016 წლის 28 ოქტომბერს უვადოდ დანიშნული

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება

<sup>3</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2017 წლის 5 მაისის საჯარო განცხადება “იუსტიციის უმაღლესი საბჭო ცდილობს ორი მოსამართლის უვადოდ გამწესებას კანონის არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე.” ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/iusticiis-umaghlesi-sabtcho-cdilobs-ori-mosamar-tlis-uvadod-gamtsebas-kanonis-arakonstituciurad-cnobili-normis-safudzvelze>

12 მოსამართლის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემფასებელი წევრების მიერ მომზადებული შეფასების დასკვნები.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის სამი წლის განმავლობაში შეფასების წესი იმდენად ბუნდოვანია, რომ ის საფრთხეს უქმნის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, მოსამართლის უვადოდ განწესებას ობიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე. აგრეთვე, გამოვლინდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მეოთხე წელია ახორციელებს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასებას ისე, რომ არ მიუღია და წინასწარ არ გამოუქვეყნებია შეფასების დეტალური წესი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ერთგვაროვანი შეფასების პროცესს. ასევე, პრობლემურია შეფასების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების კანონით დადგენილი წესი, რომელიც ქმნის არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ხარვეზიანი კანონმდებლობა აისახება გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პრაქტიკაზე. გამოსაცდელი ვადით დანიშნული 12 მოსამართლის შეფასების დასკვნების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ შეფასების პროცესი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას.

საქართველოს პარლამენტის მიერ მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის ბუნდოვანი წესის დამტკიცება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შეფასების მარეგულირებელი დეტალური პროცედურის მიუღებლობა, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების ხარვეზიანი პრაქტიკა აჩვენებს, რომ მმართველი ხელისუფლების და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედებები თანხვედრაშია ერთმანეთთან და თანაბრად არაეფექტურია სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად.

# 1. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების მარეგულირებელი კანონმდებლობა

## ძირითადი მიგნებები

- გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცესის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ორგანული კანონით არის დადგენილი, არ შეიცავს საკმარის გარანტიებს მოსამართლის ობიექტური და გამჭვირვალე პროცესით შეფასებისთვის;
- გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც ორგანული კანონით არის დადგენილი, იძლევა სუბიექტური და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, არ ადგენს გამჭვირვალობის საკმარის სტანდარტს;
- 2013 წლიდან დღემდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა შეფასებას ისე, რომ არ აქვს მიღებული კანონქვემდებარე აქტი, რომელიც გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცესს დეტალურად მოაწესრიგებს.

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების წესი, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით არის დადგენილი, არ აკმაყოფილებს კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნას, ასევე, კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ კანონის ნორმები არ არის საკმარისად დეტალური და რიგი პროცედურული საკითხები საჭიროებს დამატებით მოწესრიგებას, მათ შორის:

- ბუნდოვანია და დეტალურ მოწესრიგებას მოითხოვს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ჩატარებული სხდომების შეფასების წესი;
- არ არის დადგენილი შესაფასებელი მოსამართლის შესახებ ინფორმაციის მოძიების წესი;
- არ არის დადგენილი, თუ რა წყაროებსა და მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს მოსამართლის შეფასება;
- არ არის დადგენილი, თუ როგორ მიიღწევა შემთხვევითობის პრინციპი შეფასების პროცესში (შესაფასებელი მოსამართ-

ლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შესაფასებელი სხდომების შერჩევა).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლეს თანამდებობაზე ყოფნის სამწლიანი ვადის დაწყებისთანავე ეცნობება შეფასების პროცედურისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მისი ცალკეული კრიტერიუმებით შეფასებისას და მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>4</sup>

კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, კონკრეტულად რა ინფორმაცია და რა ფორმით ეცნობება მოსამართლეს ზემოაღნიშნული პროცედურის შესახებ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილის თანახმად,<sup>5</sup> ამ სამი წლის განმავლობაში საბჭოს რამე დამატებითი პროცედურა არ შეუმუშავებია. გამოსაცდელი ვადით დანიშნვის შემდეგ მოსამართლეებს მათი შეფასების პროცედურის შესახებ ეცნობათ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც კანონით ისედაც არის გათვალისწინებული. ეს კი, კანონის მოთხოვნას – მოსამართლეებს ეცნობათ მათი შეფასების პროცესის შესახებ – ფორმალურს ხდის და აზრს უკარგავს.

პრაქტიკაში გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ საბჭოს სამი წლის განმავლობაში არ დაუდგენია შეფასების დამატებითი პროცედურები. აღნიშნული გაუმჭვირვალს ხდის პროცესს და იძლევა თვითნებობისა და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მოსამართლისთვის არ არის განჭვრეტადი, თუ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება მისი შეფასება, რაც ხელყოფს მისი დამოუკიდებლობის პრინციპს.

### 1.1. წილისყრის პროცედურა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტი: „სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება 3 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე არაუადრეს 2 და არაუგვიანეს

<sup>4</sup> 36<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>5</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №1701/2387-03-ო წერილი.

1 თვისა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ.“

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნით, თანამდებობაზე მისი განწესებიდან 1 წლის თავზე და 2 წლის თავზე, აგრეთვე, მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წილისყრით შეარჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ მოსამართლე წევრს და ერთ არამოსამართლე წევრს, რომლებმაც 1 თვის ვადაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეაფასონ მოსამართლის საქმიანობა. აღნიშნული ექვსი შეფასება სხვადასხვა შემფასებელმა უნდა განახორციელოს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო წილისყრის პროცედურას ატარებს დახურულ სხდომაზე. კანონის თანახმად, მოსამართლის შეფასების თაობაზე მონაცემები მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის სამწლიანი ვადის გასვლამდე კონფიდენციალურია. საბჭოს არცერთ წევრს და სტრუქტურული ერთეულის არცერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს შეფასების შედეგები.

კანონის თანახმად, წილისყრის პროცედურა არ განეკუთვნება კონფიდენციალურ პროცედურათა ნაწილს.<sup>6</sup> თუმცა, საბჭოს დადგენილი პრაქტიკით, წილისყრა ტარდება საბჭოს დახურულ სხდომაზე, რაც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას.<sup>7</sup>

გასათვალისწინებელია, თუ რა ლეგიტიმურ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს წილისყრის პროცედურის დახურვა. მოსამართლისთვის ცნობილია მისი შემფასებელი. მხოლოდ საზოგადოებისთვის არის უცნობი, ვინ აფასებს მას. გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება აღნიშნული ინფორმაციის დახურვა.

<sup>6</sup> საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-11 პუნქტი ადგენს ზოგად წესს, რომ „მოსამართლის შეფასების თაობაზე მონაცემები მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის სამწლიანი ვადის გასვლამდე კონფიდენციალურია.“ ორგანული კანონის არც სხვა ნორმა არ ადგენს წილისყრის პროცედურის კონფიდენციალურად ჩატარებას.

<sup>7</sup> ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის 2015 წლის ანგარიში, გვ. 80.

ნილისყრის პროცედურაზე დაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს სხდომაზე. ნილისყრის პროცესის ბუნების გათვალისწინებით, ვერც შეფასებების გასაჯაროების შემდეგ გავიგებთ, ნილისყრის პროცედურა რეალურად ჩატარდა თუ არა და შემთხვევით შეიარჩნენ თუ არა შემფასებლები. ამიტომ, ნილისყრის პროცედურის დახურულ სხდომაზე ჩატარებით, შეუძლებელია მისი კანონიერების შემოწმება.

## **1.2. მოსამართლისათვის შეფასების პროცედურისა და გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება**

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლეს, თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის დაწყებისთანავე, ეცნობება შეფასების პროცედურისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მისი ცალკეული კრიტერიუმებით შეფასებისას და მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>8</sup>

თუ რა ინფორმაცია მიეწოდება და რა ფორმით ეცნობება მოსამართლეს ზემოაღნიშნული პროცედურის შესახებ, კანონი არაფერს ამბობს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილის თანახმად,<sup>9</sup> ამ სამი წლის განმავლობაში საბჭოს რაიმე დამატებითი პროცედურა არ შეუშუშავებია. გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შემდეგ მოსამართლეებს მათი შეფასების პროცედურის შესახებ მიაწოდეს მხოლოდ კანონით ისედაც გათვალისწინებული ინფორმაცია, რაც კანონის მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეებს ეცნობოთ მათი შეფასების პროცესის შესახებ, ფორმალურს ხდის და აზრს უკარგავს.

ეუთოს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშში<sup>10</sup> გაცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს საბჭოს, დაადგინოს დამატებითი პროცედურები გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასებისთვის. აღნიშნული რეკომენდაცია გამომდინარეობს ვენეციის

<sup>8</sup> 36'-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>9</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №1701/2387-03-ო წერილი.

<sup>10</sup> გვ. 21-22. ხელისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.osce.org/odihr/130676?download=true> > [ბოლოს ნანახია 2017 წლის 4 მარტს].

კომისიის მოსამართლის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შინაარსიდან:

- მოსამართლეთა გამოსაცდელი პერიოდით დანიშვნის შენარჩუნების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შემავალი დებულებებისთვის დამატებითი რეგულაციები მოსამართლეთა მონიტორინგისა და შეფასებების შესახებ და გაითვალისწინოს საერთაშორისო რეკომენდაციები მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტების კუთხით.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმები და ერთიანი პროცედურები იმის მიუხედავად, შენარჩუნდება თუ არა გამოსაცდელი ვადა, მათ შორის, პროცედურები გამოსაცდელი ვადის ბოლოს მუდმივ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ პროცედურებით, უნდა განისაზღვროს სათანადო წერილობითი დასაბუთების არსებობა, რაც უნდა ახლდეს ყველა გადაწყვეტილებას.<sup>11</sup>

კანონის ზოგადი შინაარსი მიანიშნებს, რომ საბჭოს უნდა შეემუშავებინა ზემოაღნიშნული წესი. გარდა ამისა, კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ კანონის ნორმები არ არის საკმარისად დეტალური და რიგი პროცედურული საკითხები საჭიროებს დამატებით მოწესრიგებას (მაგ. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასების წესი, შესაფასებელი მოსამართლის შესახებ ინფორმაციის მოძიების წესი, დადგენილ კრიტერიუმებში კანდიდატის ობიექტური შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის წყაროებსა და მტკიცებულებებზე მითითება და სხვა). ამავე რეკომენდაციას გასცემს ეუთო, რაც ზემოთ არის მოცემული.

მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ საბჭოს სამი წლის განმავლობაში არ დაუდგენია შეფასების დამატებითი პროცედურები. აღნიშნული გაუმჭვირვალს ხდის პროცესს, იძლევა თვითნებობისა და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და მოსამართლის-

---

<sup>11</sup> იქვე.

ვის არ არის განჭვრეტადი, თუ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება მისი შეფასება, რაც ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს.

### **1.3. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების კრიტერიუმები**

კანონის თანახმად, მოსამართლის საქმიანობა ფასდება ორი ძირითადი კრიტერიუმით – **კეთილსინდისიერებით** (პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება) და **კომპეტენტურობით** (სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა) (მუხლი 36<sup>2</sup>).

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-17 დასკვნა განმარტავს შემდეგს: „ცალკეულ მოსამართლეთა ფორმალური შეფასება უნდა ეყრდნობოდეს უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ ობიექტურ კრიტერიუმებს. ობიექტური სტანდარტები საჭიროა არა მხოლოდ პოლიტიკური ზეგავლენის გამოსარიცხად, არამედ სხვა მოსაზრებითაც, როგორც არის, მაგალითად, ფავორიტიზმის, კონსერვატიზმისა და ქრონიზმის საფრთხის გამორიცხვა, რაც გარდაუვალია, თუ დანიშვნა და დანიშნულება ხდება დადგენილი ფორმალიზებული პროცედურის გარეშე ან კერძო რეკომენდაციების საფუძველზე.“

ორგანული კანონი ადგენს შეფასების კრიტერიუმებს და თითოეული კრიტერიუმისთვის განსაზღვრავს შეფასების მახასიათებლებს. მიუხედავად ამისა, კანონი არ ადგენს, მახასიათებლების შეფასებისას რა ინფორმაციას ან რომელ წყაროებს უნდა დაეყრდნოს შემფასებელი. მაგალითად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია მოსამართლის პატიოსნება, პიროვნული სიმყარე, მორალური რეპუტაცია და სხვა. თუმცა, კანონი არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ, რა ინფორმაციასა და ინფორმაციის რა წყაროებზე დაყრდნობით უნდა გამოვსწავლოთ შემფასებელმა შესაფასებელი მოსამართლის პატიოსნება,



პიროვნული სიმყარე, მორალური რეპუტაცია და სხვა თვისებები. აღნიშნული შეფასების პროცესს ხდის გაუმჭვირვალს, იძლევა არაერთგვაროვანი, არათანაბარი მიდგომისა და თვითნებობის შესაძლებლობას და ეწინააღმდეგება მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს.

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-17 დასკვნის 39-ე პუნქტში აღნიშნულია: „შეფასების პროცესში სანდო წყაროები უნდა იყოს გამოყენებული. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ინფორმაციას, რომელსაც ემყარება მოსამართლის უარყოფითი შეფასება. ამასთანავე, აუცილებელია, ამგვარი შეფასება ეყრდნობოდეს საკმარის მტკიცებულებებს...“

#### **1.4. შემფასებლის მიერ შეფასების განხორციელება**

კანონის თანახმად, შემფასებლები მოსამართლის საქმიანობას აფასებენ პარალელურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ისინი ვალდებული არიან, ერთმანეთს არ გაუმჟღავნონ შეფასებისას მოპოვებული ინფორმაცია და შეფასების შედეგები. შეფასებისათვის განკუთვნილ ერთთვიან ვადაში ნებისმიერ დროს, შემფასებელს შეუძლია, განახორციელოს საჭირო ღონისძიებები კანონით დადგენილი კრიტერიუმებით მოსამართლის შესაფასებლად.<sup>12</sup>

შეფასების დადგენილ წესში იკვეთება არაერთი ხარვეზი და ბუნდოვანება. კერძოდ:

- შემფასებლებმა პარალელურად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეისწავლონ შესაფასებელი მოსამართლის მიერ განხილული არანაკლებ 5 ერთი და იგივე საქმე შესაბამის პერიოდში. კანონი ადგენს, რომ აღნიშნული შესასწავლი საქმეები შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა. თუმცა, კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს შემთხვევითობის პრინციპით შერჩევის წესს და არ არის დადგენილი, პრაქტიკაში როგორ უნდა იყოს მიღწეული შემთხვევითობა. კანონით დადგენილია მოსამართლის შესაფასებელი საქმეების შერჩევის შემდეგი კრიტერიუმები: საქმეები, რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაშია

<sup>12</sup> საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36<sup>4</sup>-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

შესული, მათ შორის, არანაკლებ 2 საქმე, რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებები ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასეთი კრიტერიუმების არსებობის პირობებშიც კი, აუცილებელია საქმეების შემთხვევით შერჩევის ისეთი მექანიზმის არსებობა, რომელიც გამორიცხავს შემფასებლებისთვის თვითნებურად შერჩეული სიის მიწოდებას.

- ორგანული კანონით, გადაწყვეტილებების შეფასებისას მონდება, რამდენად იცის მოსამართლემ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, ადამიანის უფლებების სამართალი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და რამდენად იყენებს ამ ცოდნას პრაქტიკაში – სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებისას. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-11 დასკვნა ადგენს მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების ელემენტებსა და შეფასების მეთოდებს. ხოლო, მე-17 დასკვნაში, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი ვადით დანიშნული მოქმედი მოსამართლეების ინდივიდუალური შეფასების სტანდარტებს ზოგადად, მითითებულია მე-11 დასკვნაზე. სწორედ მე-11 დასკვნით დადგენილი სტანდარტები უნდა იყოს გამოყენებული გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების გადაწყვეტილებების ხარისხის შეფასებისას. ორგანული კანონით არ არის დადგენილი გადაწყვეტილებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები. კანონმდებლობა არ ადგენს გადაწყვეტილებათა შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ყველა შემფასებელი ერთგვაროვნად იხელმძღვანელებდა. აღნიშნული საკითხები დამატებით დეტალურ მონესრიგებას საჭიროებს, რაც საბჭოს არ დაუდგენია.
- კანონი ადგენს, რომ შემფასებელს შეუძლია, დაესწროს შესაფასებელი მოსამართლის მიერ წარმართულ სასამართლო სხდომებს. ბუნდოვანია, რას ამონებს და აკვირდება შემფასებელი, ასევე, არის თუ არა კითხვარი და შეფასების სისტემა ყველა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლისთვის ერთი და იგივე. გარდა ამისა, გაუგებარია, როგორ შეარჩევს შემფასებელი სხდომებს, რომელთაც უნდა დაესწროს. ის, რომ შერჩევის წესი არ არის დადგენილი, იძლევა სხდომების სუბიექტურად შერჩევის შესაძლებლობას როგორც კანდიდატის სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ.

- კანონი ადგენს, რომ შემფასებელი უფლებამოსილია, მოთხოვნისთანავე მიიღოს როგორც შეფასების პერიოდში, ისე შეფასების პერიოდის დაწყებამდე წარმართული სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერები. გაუგებარია, რომელი სხდომების ჩანაწერები იგულისხმება: მხოლოდ ისინი, რომელთაც შემფასებელი აფასებს, თუ – ნებისმიერი. ასევე გაურკვეველია, გულისხმობს თუ ეს იმას, რომ შესაძლოა შემფასებელი ფიზიკურად სხდომას არ დაესწროს და მოსამართლე ვიდეოჩანაწერით შეაფასოს. შესაფასებელი სხდომების მსგავსად, არ არის დადგენილი შესაფასებელი სხდომების ვიდეოჩანაწერების შემთხვევით შერჩევის წესი.
- კანონი ადგენს, რომ შემფასებელი უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით მოიძიოს საჭირო ინფორმაცია. ბუნდოვანია, რა იგულისხმება საჭირო ინფორმაციაში, თუმცა, კანონის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: შემფასებელს უფლება უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც, ამავე კანონით, შემფასებელს ესაჭიროება შეფასების განსახორციელებლად. თუ რა ინფორმაცია ესაჭიროება შემფასებელს, ამას თავად კანონი განსაზღვრავს (მაგალითად, სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერების, შესაფასებელი მოსამართლის მიერ გამოტანილი გადანყვეტილებების მიღების უფლება და სხვა). კანონის ამ ჩანაწერის დაკონკრეტება მნიშვნელოვანია შესაფასებელი ინფორმაციის შემთხვევით შერჩევის პრინციპიდან გამომდინარე.—
- კანონი უფლებას ანიჭებს შემფასებელს, სამართლებრივი კონსულტაციისათვის მიმართოს იურიდიული წრეების წარმომადგენლებს. სავარაუდოდ, იგულისხმება კანდიდატის მიერ სამართლის ცოდნის შეფასებისთვის საჭირო კონსულტაცია. თუმცა, როგორ შეარჩევს შემფასებელი პირს, ვისთანაც გაივლის კონსულტაციას და რა პროცედურით ხდება კომუნიკაცია შემფასებელსა და კონსულტაციის გამწვევს შორის, შედგება თუ არა შესაბამისი ოქმი და დაერთება თუ არა ის საქმეს, გაუგებარია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენად კომპეტენტურია ის კონსულტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება შემფასებელმა გამოიტანოს დასკვნა კანდიდატის შესახებ და რა ქმნის კომპეტენტური კონსულტაციების გარანტიას. ასეთი ბუნდოვანი მექანიზმი იძლევა კონსულტაციის მექანიზმის სუბიექტურად გამოყენების შესა-

ძლებლობას კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

- შემფასებელი უფლებამოსილია, პირადად შეხვედეს შესაფასებელ მოსამართლეს და სხვა პირებს და დაუსვას კითხვები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსაპოვებლად. ბუნდოვანია შესაფასებელ მოსამართლესთან შეხვედრის პროცედურა. ეს სწორედ ის საკითხია, რომელიც საბჭოს მიერ დამატებით მონესრიგებას საჭიროებს. კერძოდ, რა მიზანს ემსახურება ასეთი შეხვედრა, რა საკითხების გარკვევის მიზნით ხვდება შემფასებელი მოსამართლეს, როგორია შეხვედრის პროცედურა, შეხვედრის ოქმის შედგენის ვალდებულების განსაზღვრა და სხვა დეტალები, რაც მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის და არასათანადო ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, გაუგებარია, ვინ იგულისხმება „სხვა პირებში“, როგორ შეირჩევიან სხვა პირები, რომლებსაც შემფასებელი კითხვებს დაუსვამს და კონკრეტულად რა კითხვების დასმა იგულისხმება (მოსამართლის პიროვნებასთან დაკავშირებული, სამართლებრივი თუ ყველაფერი ერთად).

### **1.5. მოსამართლის უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარი**

კანონის თანახმად, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას შემფასებელთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ეს საკმარისი პირობაა იმისათვის, რომ მოსამართლე არ იყოს დაშვებული გასაუბრების ეტაპზე.

ასევე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ვერ აღწევს ქულათა მაქსიმალური ოდენობის 70%-ს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს სამართლებრივ აქტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნული რეგულაცია არღვევს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს, ვინაიდან გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხი საერთოდ არ დგება კენჭისყრაზე, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით უარყ-

ოფითად შეაფასა მინიმუმ სამმა შემფასებელმა, ან კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლემ ვერ მოაგროვა ქულათა 70%. გასათვალისწინებელია, რომ ეს არის უკვე დანიშნული მოსამართლის უვადოდ განწესების პროცესი. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის მიმართ მოქმედებს მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის საკანონმდებლო გარანტიები. ის ფაქტი, რომ დანიშნული მოსამართლის უვადოდ განწესებაზე უარის თქმა დასაშვებია საბჭოს სხდომაზე საკითხის კენჭისყრაზე გატანის გარეშე, პირდაპირ საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას. მით უფრო, რომ განხილვაზე უარის თქმის შესახებ აქტი ერთჯერადად საჩივრდება საბჭოში, ხოლო საბჭოს მიერ საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აქტი გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.<sup>13</sup>

გარდა ამისა, კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლესთან გასაუბრებას იქამდე, სანამ საბჭო უარს ეტყვის მოსამართლეს მისი უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე. კანონით არ არის გარანტირებული სათანადო პროცესის ჩატარება და მოსამართლის მოსმენა მანამდე, სანამ მოსამართლის საზიანო გადაწყვეტილება იქნება მიღებული (პროცედურული სამართლიანობა<sup>14</sup>).

### **1.6. უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ თავმჯდომარის აქტის გასაჩივრების წესის ხარვეზები**

ორგანული კანონის 36<sup>4</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს თავმჯდომარის აქტი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მოსამართლისთვის მისი გადაცემიდან ერთი კვირის ვადაში. გასაჩივრების შემთხვევაში, საბჭო, სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, ღია კენჭისყ-

---

<sup>13</sup> CCJE, Challenges For Judicial Independence And Impartiality In The Member States Of The Council Of Europe, SG/Inf(2016)3rev, puncti 76 - The actual independence of a Council for the Judiciary is especially important as, according to the case law of the ECtHR, a Council for the Judiciary, if it takes the decision to dismiss a judge, must meet the same requirements of independence and impartiality as other tribunals according to Article 6. In *Volkov v Ukraine* and *Mitrinovski v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, the ECtHR held that if the dismissal of a judge by a Council for the Judiciary does not meet those standards, this can be challenged before the ECtHR.

<sup>14</sup> CCJE-ის დასკვნა №17, პუნქტი 41.

რით იღებს გადანყვეტილებას საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის გაუქმებისა და მოსამართლესთან გასაუბრების ჩატარების შესახებ. კანონის ამავე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, თუკი საბჭო არ მიიღებს გადანყვეტილებას საბჭოს თავმჯდომარის აქტის გაუქმების და გასაუბრების ჩატარების შესახებ (ანუ, თუ ძალაში დარჩება საბჭოს თავმჯდომარის აქტი უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ), საბჭოს აღნიშნული გადანყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

შესაბამისად, კანონი უშვებს შესაძლებლობას, თუკი საბჭოს სამი წევრი (სამი შემფასებელი) დაასკვნის, რომ კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ან, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოპოვებულ ქულათა ჯამი არ აღწევს 70%-ს, კანდიდატი აღარ გადავა მეორე ეტაპზე, რაც, ფაქტობრივად, არ საჩივრდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანდიდატი გამოიყენებს საბჭოში გასაჩივრების მექანიზმს და საბჭოს წევრთა 2/3 დაეთანხმება ამგვარ შეფასებას (გასათვალისწინებელია, რომ ამ 2/3-ში შედის საბჭოს ის 3, 4, 5 ან, შეიძლება, 6 შემფასებელი წევრიც, რომელთა პოზიცია ამ საკითხზე უკვე წინასწარ არის დაფიქსირებული), საბჭოს აღნიშნული გადანყვეტილება არ საჩივრდება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. მართალია, შემფასებლების მიერ გაკეთებული დასკვნების სისწორეზე შემდეგ მთლიანად საბჭო მსჯელობს, მაგრამ ამ საკითხის განხილვა ვერ გასცდება საბჭოს ფარგლებს და მასზე ვერ იმსჯელებს სხვა, ასევე დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რაც ვერ ჩაითვლება გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმად.

ვენეციის კომისიის დასკვნები მიუთითებს, რომ გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნაზე უარი იმავე საკანონმდებლო გარანტიებს უნდა შეიცავდეს, რომლებიც მოსამართლის გათავისუფლების სტანდარტებით არის გათვალისწინებული.<sup>15</sup> კონკრეტულად, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს გათავისუფლება, უნდა განიხილავდეს დამოუკიდებელი ორგანო და ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას. ის ფაქტი, რომ საბჭოს უარყოფითი შეფასება ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში არ ექვემდებარება დამოუკიდებელ ინსტიტუციაში გასაჩივრებას, ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ, მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-

<sup>15</sup> ვენეციის კომისია, Judicial Appointments, CDL-AD(2007)028, პუნქტი 40. ვენეციის კომისია CDL-AD(2010)004, პუნქტი 37.

ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას. გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-17 დასკვნით გაცემული რეკომენდაციაც.

### **1.7. მოსამართლის თვითშეფასება და გასაუბრება**

კანონის თანახმად, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას სამი ან სამზე მეტი შემფასებელი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური ოდენობის არანაკლებ 70%-ია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს მოსამართლესთან გასაუბრებას და ისმენს მის მოსაზრებას შეფასების შედეგების შესახებ.

მოსამართლეს უფლება აქვს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილობითი ფორმითაც წარუდგინოს თავისი მოსაზრება შეფასების შედეგების თაობაზე, ასევე, ზეპირად ან/და წერილობით გააცნოს თვითშეფასება. კერძოდ, მოსამართლე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს, თავისი საქმიანობის 3-წლიანი პერიოდის განმავლობაში, მისივე შეფასებით, ყველაზე წარმატებული და ყველაზე წარუმატებელი გადაწყვეტილების/გადაწყვეტილებების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებული შეცდომების ანალიზს.

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების სამწლიანი შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის თანახმად,<sup>16</sup> 12 მოსამართლიდან, რომელთა უვადოდ დანიშვნის საკითხი განიხილეს 2016 წლის ნოემბერში, არცერთს არ მიუმართავს საბჭოსთვის შეფასების დასკვნების შინაარსთან დაკავშირებით და არ წარუდგენიათ თვითშეფასება, რაც, შესაძლოა, პროცესის ფორმალურობაზე მიუთითებდეს. საინტერესოა, უარყოფითი შეფასების შემთხვევაშიც არ წარუდგინეს საბჭოს შეპასუხება ან თვითშეფასება კანდიდატებმა, თუ აღნიშნულის წარუდგენლობა

<sup>16</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 20 ოქტომბრის წერილი №1701/2387-03-ო.

იმით არის გამოწვეული, რომ საბჭომ ყველა კანდიდატი ყველა კრიტერიუმით დადებითად შეაფასა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად უსმენს შემფასებლებს. აღნიშნული საკითხი განხილული იყო საბჭოს ღია სხდომაზე. გასაუბრების პროცესში საბჭომ მოისმინა შესაბამისი მოსამართლის შესახებ შემფასებლების მიერ გაკეთებული ზოგადი განცხადებები. მაგალითად, შემფასებლები აცხადებდნენ, რომ ადასტურებენ დანერგლ ქულას, რომ მოსამართლეს აქვს კომუნიკაციის და, ასევე, სხვა უნარები, პროცესს უძღვება კარგად და ა.შ. შემფასებლების ეს განცხადებები არ უკავშირდებოდა რაიმე კონკრეტული პრობლემური საკითხების განმარტებას ან საბჭოს ნევრების მიერ შეფასებასთან დაკავშირებით დასმულ კონკრეტულ კითხვებს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ შემფასებლების მოსმენა იყო მხოლოდ ფორმალური პროცესი და ისინი უბრალოდ იმეორებდნენ შეფასების დოკუმენტებში უკვე ასახულ ინფორმაციას.

### **1.8. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი**

კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანალიზებს მოსამართლის 3-წლიანი საქმიანობის შეფასების შედეგებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მოსამართლის მიერ მიღებული შეფასებების შეჯერების მიზნით, გამოიანგარიშება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით შეფასების სამივე პერიოდში განხორციელებული ექვსი შეფასებისას მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი, რის შემდეგაც განისაზღვრება ამ ჯამის პროცენტულობა კომპეტენტურობის კრიტერიუმისათვის განსაზღვრული ქულების შესაძლო მაქსიმალური ოდენობის მიმართ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შეფასების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტით დადგენილი წესით მსჯელობს და სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, ღია კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესების შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას,



შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვება საქმეს.

ბუნდოვანია, რა იგულისხმება იმაში, რომ შეფასების შედეგების ანალიზის და გასაუბრების საფუძველზე, საბჭო მსჯელობს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხზე. რა ფორმით იმართება ეს მსჯელობა, ღიაა თუ დახურული, რა საკითხებზე მსჯელობას გულისხმობს აქ კანონმდებელი და რა არის ასეთი მსჯელობის მიზანი, გაუგებარია და რეგულირებას საჭიროებს. უვადოდ დანიშვნის შესახებ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ვერ დააკმაყოფილებს გამჭვირვალობის სტანდარტს, თუ გაუგებარი დარჩება, რაზე მსჯელობენ ან რაზე უნდა მსჯელობდნენ საბჭოს წევრები მას შემდეგ, რაც შეფასების შედეგებს გაეცნობიან და გააანალიზებენ. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს საბჭოს გადაწყვეტილებას და განსხვავებული აზრი დაწეროს. შესაძლოა და დასაშვებია, აქ იგულისხმებოდეს შემთხვევა, როცა მოსამართლე თვითშეფასებით ან გასაუბრებაზე გააბათილებს უარყოფით შეფასებას და საბჭო ან მისი რომელიმე წევრი ამას გაიზიარებს. ცხადია, რომ კანონი ამ მხრივ უნდა დაიხვეწოს და კონკრეტულად ჩაიწეროს, რა არის საბჭოს მსჯელობის მიზანი და როგორია პროცედურა.

საქართველოს კანონმდებლობით ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მოსამართლის შეფასების დასაბუთება შემფასებლის მიერ და მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. გამიჯვნის მიზანი უნდა იყოს ის, რომ დასაბუთებას დაექვემდებაროს არა მხოლოდ შემფასებლის მიერ მოსამართლის შეფასება, არამედ ამ შეფასებებზე დაყრდნობით იუსტიციის საბჭოს მიერ მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება.

## 2. გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პრაქტიკა

### ძირითადი მიგნებები

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმები ზოგიერთი შემფასებლის მიერ იმგვარად არის შევსებული, რომ შეფასების რიგ კომპონენტებში კონკრეტული დასაბუთების არარსებობის გამო, შეფასება ნებისმიერ მოსამართლეს შეიძლება მიემართებოდეს და არ არის მორგებული კონკრეტულ მოსამართლეზე. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რიგ კომპონენტებში შეფასების ანგარიშები შაბლონურია. შაბლონურობა უფრო მეტად ახასიათებს კეთილსინდისიერების კომპონენტს;
- ანგარიშებში დასკვნები ისეა გაკეთებული, რომ არ იკვეთება, რას დაეყრდნო შემფასებელი აღნიშნული დასკვნის გაკეთებას. ამასთან, რიგ შემთხვევებში ანგარიშებს წინა ცარ უძღვის იმ დოკუმენტაციისა თუ სხვა მასალების ჩამონათვალი, რომლებითაც შეიძლებოდა ეხელმძღვანელა შემფასებელს;
- მოსამართლის **კეთილსინდისიერების** კრიტერიუმით შეფასებისას, შემფასებლები აღნიშნავენ, რომ ეყრდნობიან სხვადასხვა დაწესებულებიდან გამოთხოვნილ ინფორმაციებს, პირთა გამოკითხვის გზით მიღებულ ინფორმაციას, სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერების შესწავლის შედეგებს და ა.შ. თუმცა, დასკვნების ნაკითხვისას ძნელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა ინფორმაციამ მიიყვანა შემფასებელი დადებითი დასკვნის გაკეთებამდე;
- მოსამართლეების შეფასება **კომპეტენტურობის** კრიტერიუმის მიხედვით, ძირითადად, ეყრდნობა მოსამართლის მიერ განხილული კონკრეტული საქმეების შესწავლას. ეს საქმეები შემთხვევითობის პრინციპით უნდა იყოს შერჩეული, თუმცა, ანგარიშიდან შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მეთოდოლოგიით მოხდა საქმეების შემთხვევით შერჩევა. ასევე, გაურკვეველია, რა მეთოდოლოგიის გამოყენებით შეფასდა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და აქვთ თუ არა შემფასებლებს გადაწყვეტილებათა შეფასებისას ერთიანი მიდგომები;
- წინასწარ არ არის დადგენილი, თუ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს მოსამართლე ყოველი კონკრეტული

კრიტიკიუმის მიხედვით. პრაქტიკამ გამოავლინა, რომ ინფორმაცია, რომელიც ცალკეული კრიტიკიუმით შეფასებისთვის გამოიყენეს, შესაძლოა არასაკმარისი ან არარელევანტური იყოს.

## **2.1. საბჭოდან მიღებული საჯარო ინფორმაცია**

საიამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოითხოვა საბჭოს მიერ თითოეული მოსამართლის შეფასების ანგარიში, რომელიც 2013 წლიდან 2016 წლამდე მომზადდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული 12 მოსამართლის მიმართ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36<sup>3</sup>-ე მუხლის 21-ე პუნქტის შესაბამისად, „მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შემთხვევაში, მოსამართლის შეფასების ანგარიშები საჯარო ინფორმაციაა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს ისინი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი წესით“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36<sup>4</sup>-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის შეფასების ანგარიში მოიცავს:

ა) დასკვნას, რომელშიც სათანადოდ არის აღწერილი და დასაბუთებული შეფასების ორივე კრიტიკიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით გამოვლენილი შედეგები;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით შევსებულ ფორმას, რომელშიც ასახულია კეთილსინდისიერების კრიტიკიუმით მოსამართლის შეფასების შედეგად, ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მიღებული დასკვნა და კომპეტენტურობის კრიტიკიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა რაოდენობა;

გ) ყველა წერილობით დოკუმენტსა და სხვა მასალას, რომლებზე დაყრდნობითაც შეფასდა მოსამართლის საქმიანობა შესაბამის პერიოდში.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საიას არ მიაწოდა ის დოკუმენტები და მასალა, რომლებზე დაყრდნობითაც მომზადდა მოსამართლეების შეფასების დასკვნები. საიამ კვლავ მიმართა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღნიშნული დოკუმენტაციის მოთხოვნის მიზნით. საბჭომ საიასადმი მიწერილ 13 თებერვლის წერილში აღნიშნა, რომ საიას მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია არის დიდი მოცულობის და მათი სისტემატიზაცია და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაშტრიხვა საჭიროებს დროს. ამიტომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაარღვია საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა და ინფორმაციის „მოგვიანებით“ გამოგზავნის პირობა დადო.

## **2.2. შეფასებლების მიერ მოსამართლეთა საქმიანობის შესახებ მომზადებული დასკვნების ანალიზი**

მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების თაობაზე მომზადებული დასკვნები, როგორც კეთილსინდისიერების, ისე კომპეტენტურობის კრიტერიუმების გამოკვლევისას, ეყრდნობა შემდეგ წყაროებს:

- მოსამართლის ბიოგრაფია და პირადი საქმე;
- მოსამართლესთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი მოსამართლეებისა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მიერ მიწოდებული დახასიათება-შეფასებები;
- მოსამართლის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;
- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემები შესაფასებელი მოსამართლის მიმდინარე და ვადაგადაცილებული დავალიანების თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები შესაფასებელი მოსამართლის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემები შესაფასებელი მოსამართლის თაობაზე;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მონაცემები შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მონაცემები შესაფასებელი მოსამართლის პროფესიულ წვრთნასა და პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით;
- სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები შეფასების პერიოდში შესრულებული სამუშაოს საპროცესო ვადების დაცვისა და გადანყვეტილების სტაბილურობის თაობაზე;
- საქმეებში არსებული სასამართლო სხდომების აუდიოჩანაწერები;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული დეპარტამენტიდან გამოთხოვნილი სასამართლო სხდომების ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა საქმეზე;
- მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მოსამართლის შესახებ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ზოგიერთი შემფასებელი დასკვნის დასაწყისშივე აღნიშნავს შეფასების პროცესში ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების გამოყენების შესახებ და შემდგომ, კრიტიკერიუმების მიხედვით მიუთითებს, თუ რა დასკვნები გააკეთა მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ხომერიკის საქმიანობის შეფასების დასკვნაში შემფასებელი კახაბერ სოფრომაძე, პირველ რიგში, ჩამოთვლის იმ მონაცემებს, რომლებიც მოიპოვა და შეისწავლა შეფასების განსახორციელებლად. ამის შემდეგ კი, კონკრეტული კომპონენტების განხილვისას უთითებს წყაროზეც, კერძოდ, შემფასებელი, „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ შემომნებისას, როგორც ჩანს, დაეყრდნო ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტებს და გააკეთა დასკვნა, რომ მოსამართლე „ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს ასრულებს კეთილსინდისიერად და შეგნებით“. ამასთან, შემფასებელი აღნიშნავს, რომ შსს-დან გამოთხოვნილი ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე ხათუნა ხომერიკს შეფასების პერიოდში ადმინისტრაციული სახდელი არ დაჰკისრებია. სხვა საკითხია, რამდენად რელევანტურია, მხოლოდ ამ ინფორმაციის საფუძ-

ველზე შეფასდეს მოსამართლის „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, თუმცა, წყაროზე მითითება თავისთავად პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს.

შემფასებლის მიერ წყაროზე მითითების დროს არარელევანტური დასკვნების გაკეთების ფაქტები საკმაოდ ხშირია. რიგ შემთხვევებში, მითითებულ მონაცემზე დაყრდნობით ძნელია რომელიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დასკვნის გაკეთება (მაგალითად, „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ დადგენა კოლეგების შემდეგი დახასიათების საფუძველზე: „კომპეტენტური, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე, პრინციპული და სამართლიანი პიროვნება“).<sup>17</sup> თუმცა, თავისთავად, წყაროებზე მითითება მაინც დადებითი ფაქტორია, ვინაიდან შემფასებლის დასკვნას უფრო დასაბუთებულსა და გასაგებს ხდის. როდესაც შემფასებელი წყაროზე არ უთითებს, საერთოდ შეუძლებელი ხდება შეფასების რელევანტურობაზე მსჯელობაც კი. მაგალითად, მოსამართლე მურთაზ მეშველიანის შეფასებისას, შემფასებელი ლევან მურუსიძე მოსამართლის პიროვნულ და პროფესიულ ქცევასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „იცავს სასამართლო ეთიკის წესებს როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში, ისე მის გარეთ, არის თავდაჭერილი, კორექტული და შესწევს საკუთარი ემოციების მართვის უნარი.“ თუმცა, რაზე დაყრდნობით გაკეთდა აღნიშნული დასკვნა, ანგარიშიდან არ იკვეთება.

შემფასებლის მიერ მომზადებული დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს როგორც კეთილსინდისიერების, ისე პროფესიონალიზმის შეფასებისას. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36<sup>4</sup>-ე მუხლის „ა“ პუნქტი შეფასების განმარტაციულ ელემენტს ავალდებულებს, მის მიერ მომზადებულ დასკვნაში იყოს „სათანადოდ აღწერილი და დასაბუთებული ორივე კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით გამოვლენილი შედეგები.“

კანონის აღნიშნული ჩანაწერი ავალდებულებს შემფასებელს, უშუალოდ მოპოვებულ წყაროებზე დაყრდნობით მოამზადოს დასკვნა, რომელიც საშუალებას მისცემს ობიექტურ მკითხველს, გაიგოს, თუ რას დაეფუძნა მოსამართლის დადებითი ან უარყოფითი შეფასება კონკრეტული კომპონენტის მიხედვით.

<sup>17</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ხომერიკის შეფასების თაობაზე მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი 29.11.2014 – 29.11.2015, შემფასებელი კახაბერ სოფრომაძე.

2013 წლიდან 2016 წლამდე გამოსაცდელი ვადით დანიშნული 12 მოსამართლის მიმართ შედგენილი დასკვნები, კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის კრიტერიუმების შეფასებისას, არ არის სათანადოდ დასაბუთებული. მხოლოდ დასკვნის წაკითხვით შეუძლებელია იმის გარკვევა, რამდენად ობიექტურად შეფასდა კონკრეტული მოსამართლე და რამდენად ეყრდნობა შეფასება მოპოვებულ ინფორმაციას.

### **2.3. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 35<sup>1</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტი პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კომპონენტს განმარტავს და შესაბამისად ადგენს, რა უნდა გაითვალისწინოს შემფასებელმა აღნიშნული კომპონენტით მოსამართლის შეფასების დროს: „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის გადახდისას, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა“.

შემფასებლების მიერ მომზადებულ დასკვნაში კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის შესაფასებლად არ არის განსაზღვრული კანონით გათვალისწინებული საკმარის ვალრიცხოვანი კომპონენტების ჩამონათვალი. შემფასებლები, როგორც წესი, ერთმანეთის მსგავსი ტერმინოლოგიითა და მეთოდოლოგიით აღნიშნავენ, რომ მოსამართლის კოლეგებისა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი: მოსამართლე არის თავმდაბალი, კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და ა.შ. თუმცა, კონკრეტულად როგორ გამოიყვანდა აღნიშნული თვისებები და როგორ აისახება მის საქმიანობაზე, გაურკვეველია.

გარდა შესაფასებელ მოსამართლესთან დაკავშირებული ადა-

მიანების გამოკითხვისა, აღნიშნულ კომპონენტში გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შესაფასებლად იყენებენ შსს-დან მიღებულ ინფორმაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, შემოსავლების სამსახურიდან – გადასახადების გადახდის შესახებ და საჯარო სამსახურის ბიუროდან – მოსამართლის დეკლარირებული ქონების თაობაზე. როგორც დასკვნებიდან ირკვევა, აღნიშნული ინფორმაცია ყველა მოსამართლის მიმართ დადებითი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. იქიდან გამომდინარე, რომ ეს დასკვნები არ არის სათანადოდ დასაბუთებული, მხოლოდ მათზე დაყრდნობით პრაქტიკულად შეუძლებელია იმის დადგენა, ამგვარი შედეგი მართლაც მოსამართლეების კეთილსინდისიერი ქმედებებით არის განპირობებული თუ შეფასების წყაროები არ არის საკმარისი და სათანადოდ გამოკვლეული.

#### **2.4. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 35<sup>1</sup>-ე მუხლის მე-6 პუნქტი დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას, როგორც კეთილსინდისიერების კომპონენტის ერთ-ერთ მახასიათებელს, შემდეგნაირად განმარტავს: „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.“

აღნიშნულ კომპონენტში შემფასებლები მოსამართლეებს აფასებენ შაბლონურად. არ მიმოიხილავენ, კონკრეტულად რა ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში გამოვლინდა, რომ მოსამართლეს შეუძლია იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. ძნელია იმის გარკვევა, თუ რატომ მიიჩნია შემფასებელმა მოსამართლე მიუკერძოებლად და სამართლიანად – დასკვნის წაკითხვით ეს არ ირკვევა. როგორც წესი, შეფასებები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- „სასამართლო სხდომების მონიტორინგის, ასევე მოსამართლე ციციხო კიკვაძის მიერ განხილულ საქმეთა შესწავლის შედეგად, შესაძლებელი გახდა დამოუკიდებლობის, მიუკერ-



ძობლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეს აქვს უნარი, გადანიშნულია მიიღოს დამოუკიდებლად, მხოლოდ კანონის, საქმის გარემოებებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, ერთგვაროვნად, ღირსებით მოეპყროს ადამიანებს, მათი უფლებებისა და ინტერესების პატივისცემით, ყოველგვარი წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე“.<sup>18</sup>

- „მოსამართლე ხომერიკს კოლეგები ახასიათებენ, როგორც კომპეტენტურ, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე, პრინციპულ და სამართლიან პიროვნებას. შეფასების პერიოდში მოსამართლესთან უკანონო კომუნიკაციის ან მის საქმიანობაში გარეშე პირთა მხრიდან რამე ფორმით ჩარევის ფაქტი არ გამოვლენილა“.<sup>19</sup>

ამგვარი ბუნდოვანი და შაბლონური შეფასებები აჩენს კითხვებს აღნიშნული დასკვნების დასაბუთებულობასა და დამაჯერებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის გამოკვლევა სრულყოფილად არ მომხდარა და დასკვნებში, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სათანადოდ არ არის „აღწერილი და დასაბუთებული ორივე კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით გამოვლენილი შედეგები“.

## **2.5. პიროვნული და პროფესიული ქცევა**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუ-

<sup>18</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ციციონ კიკვაძის საქმიანობის შეფასების თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ილონა თოდუას მიერ მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი: 29.11.2013 – 29.11.2014.

<sup>19</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ხომერიკის საქმიანობის შეფასების თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კახაბერ სოფრომაძის მიერ მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი 29.11.2014 – 29.11.2015.

თარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.“

ორგანული კანონით დადგენილი პიროვნული და პროფესიული ქცევის ამგვარი შინაარსი და დასაბუთების ვალდებულება შემფასებლებს თვითნებური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას უნდა ართმევდეს. გარდა ამისა, მომზადებული შეფასების დასკვნები „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ კანონისმიერ განმარტებას შაბლონურად კი არ უნდა იმეორებდეს, არამედ დასაბუთებული უნდა იყოს თითოეული კომპონენტი, მაგალითად, რაში გამოიხატა თავდაჭერილობა ან ემოციების მართვის უნარი და რას ეფუძნება აღნიშნული კრიტერიუმით მოსამართლის დადებითად შეფასება.

როგორც წესი, დასკვნებში პიროვნული და პროფესიული ქცევა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- ✓ „მოსამართლე ნინო შარაძის პროფესიული ქცევის მახასიათებლით შეფასების საშუალებას გვაძლევს მოსამართლის მიერ ჩატარებულ სხდომათა მონიტორინგი (ასევე, მის მიერ ნაწარმოები საქმეების მასალები) და, აგრეთვე, გამოკითხული კოლეგებისგან მიღებული ინფორმაციები.

კოლეგები აღნიშნავენ მის კომუნიკაბელურობასა და ორგანიზებულობას. მათი შეფასებით, ნინო შარაძეს კარგად შეუძლია დაგეგმოს და ორგანიზება გაუწიოს საქმეებს მათი რაოდენობისა და სირთულის გათვალისწინებით, მას აქვს ხარისხზე ორიენტირებული ქმედითი თანამშრომლობის უნარი.

სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა მოსამართლის მიერ საკუთარი ემოციების სათანადოდ მართვის უნარი, კორექტულობა, სიდინჯე და თანამიმდევრულობა. იგი პროცესის მსვლელობისას დამაჯერებლად და საიმედოდ გამოიყურება, კვალიფიციურ განმარტებებს აკეთებს და სხდომებს წარმართავს ეფექტურად. არც რამე სადავო ურთიერთობის მონაწილე ყოფილა.“<sup>20</sup>

<sup>20</sup> გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო შარაძის საქმიანობის შეფასების თაობაზე იუსტიციის საბჭოს წევრი სერგო მეთოფიშვილის მიერ მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი: 29.11.2015 – 29.11.2016.

მოსამართლის სახელისა და გვარის შეცვლის შემთხვევაში, ეს დახასიათება, მისი შაბლონური ხასიათიდან გამომდინარე, ნებისმიერ სხვა გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეს მოერგებოდა. შეუძლებელია იმ კონკრეტული მიზეზების დადგენა, როგორ და რატომ მივიდა შემფასებელი ამგვარ დასკვნამდე. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად არის შეფასებულნი თითქმის ყველა მოსამართლე.

## 2.6. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.“

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის შესახებ შემფასებლები იყენებენ შეფასების სუბიექტების, კოლეგა მოსამართლეებისა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების დახასიათებასა და შეფასებებს. როგორც წესი, შემფასებლები აღნიშნავენ:

- ✓ „არსებული ინფორმაციის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ მოსამართლე, როგორც კოლეგებში, ასევე პირად გარემოცვაში, სარგებლობს პასუხისმგებლიანი ადამიანისა და კვალიფიციური იურისტის სახელით. კოლეგებთან და პროცესის მონაწილე მხარეებთან პიროვნული სისუსტეები და ნაკლოვანებები არ გამოუვლენია.“<sup>21</sup>
- ✓ „შემიძლია დავასკვნა, რომ მოსამართლე, როგორც კოლეგებში, ასევე პირად გარემოცვაში, სარგებლობს გულისხმიერი ადამიანისა და კომპეტენტური იურისტის სახელით, გამოირჩევა შრომისმოყვარეობით. საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას უშუალო და გულწრფელია. კოლეგებთან და პირად ურთიერთობებში იჩენს კომუნიკაბელურობას. გააჩნია კეთილგანწყობით პრობლემური სიტუაციების განმუხტვის

<sup>21</sup> გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გერმანე დადეშქელიანის საქმიანობის შეფასების თაობაზე იუსტიციის საბჭოს წევრის მიერ მომზადებული დასკვნა (დასკვნაში არ წერია სახელი და გვარი, არის მხოლოდ ხელმოწერა, შესაბამისად, შეუძლებელია სახელისა და გვარის გარკვევა). შეფასების პერიოდი: 29.11.2015 – 29.07.2016.

უნარი. კოლეგებთან და პროცესის მონაწილე მხარეებთან პიროვნული სისუსტეები და ნაკლოვანებები არ გამოვლენილა, თუმცა, ერთ-ერთი კოლეგა მის ერთადერთ ნაკლოვანებად გადამეტებულ თვითკრიტიკულობას ასახელებს.”<sup>22</sup>

- ✓ „მოსამართლე გიორგი მიროტაძეს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. სასამართლო სისტემაში, იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში სარგებლობს კარგი რეპუტაციით.“<sup>23</sup>

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის შეფასება კანონთან შესაბამისობაში რომ მოვიდეს, უნდა იყოს ინდივიდუალურ მოსამართლეზე მორგებული და უნდა აღწერდეს კონკრეტული მოსამართლის ავტორიტეტსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტატუსს. თორმეტივე მოსამართლის შეფასების დასკვნები ატარებს შაბლონურ ხასიათს. კერძოდ, ზოგიერთ მათგანში დაკოპირებულია მოსამართლის ბიოგრაფია და აღნიშნულია: გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსამართლეს აქვს კარგი რეპუტაცია. უმრავლესობა კი ბიოგრაფიულ მონაცემებსაც არ აღწერს და უბრალოდ აღნიშნავს: გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეს აქვს კარგი რეპუტაცია.

## **2.7. ფინანსური ვალდებულება**

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გაითვალისწინება მოსამართლის შეფასების დასკვნის სხვა კომპონენტებშიც. კერძოდ, „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ კრიტერიუმით შეფასების დროს ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი არის ფინანსური ვალდებულებების შესრულება, თუმცა, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ფინანსური ვალდებულებების შესახებ მოსამართლის შეფასებას დამოუკიდებლადც მოითხ-

<sup>22</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნანა ჭიჭილაშვილის საქმიანობის შეფასების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ვახტანგ თორდიას მიერ მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი 29.11.2013 – 29.11.2014.

<sup>23</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გიორგი მიროტაძის საქმიანობის შეფასების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, მერაბ გაბინაშვილის მიერ მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი 29.11.2013 – 29.11.2014.

ოვს. „ფინანსური ვალდებულება,“ როგორც დამოუკიდებელი კომპონენტი, გაცილებით ფართოა და მოიცავს მოსამართლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას. კანონი განსაზღვრავს „ფინანსური ვალდებულების“ შინაარსს: „ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებასა ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემონიშნების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.“

გამოსაცდელი ვადით დანიშნული 12 მოსამართლის შეფასების შესახებ მომზადებული დასკვნები ფინანსური ვალდებულებების შესახებ ემყარება მოსამართლეების მიერ შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებს, სადაც აღნიშნულია ინფორმაცია როგორც მოსამართლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ასევე, საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების შესახებაც. გარდა ამისა, შემფასებლები იყენებენ სს „კრედიტინფო საქართველოდან“ მიღებულ ინფორმაციას მოსამართლის პერსონალური საკრედიტო ისტორიის შესახებ, ასევე, შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციას გადასახადების გადახდის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ თორმეტივე მოსამართლის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით დადებითი შეფასებაა გაკეთებული. ამ კომპონენტსაც ახასიათებს შაბლონურობა და შემფასებლები მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითებენ, რომ არ არსებობს ვარაუდის საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესებისა და მართლმსაჯულების ინტერესების შეუთავსებლობის შესახებ.

## **2.8. კომპეტენტურობის კრიტერიუმი**

კეთილსინდისიერების კრიტერიუმისგან განსხვავებით, კომპეტენტურობის კრიტერიუმი შედარებით კარგად არის დასაბუთებული. როგორც დასკვნებიდან ირკვევა, შემფასებლები ეცნობიან როგორც მოსამართლის მიერ ჩაბარებული გამოცდების შედეგებს, ისე სასამართლოებიდან გამოთხოვნილ სტატისტიკურ ინფორმაციას. ამასთან, შემფასებლები შემთხვევითი შერჩევით, მოსამართლის მიერ განხილულ ხუთ კანონიერ ძალაში შესულ

გადანყვეტილებას სწავლობენ და აღნიშნულ საქმეებზე დაყრდნობით აფასებენ მოსამართლეების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს სხვადასხვა კრიტერიუმის შესაბამისად.

გარდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციისა, დასკვნების გასაკეთებლად შემფასებლები ეყრდნობიან მოსამართლის მიერ წარმართული სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას და მოსამართლის ბიოგრაფიას. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, შემფასებლების მიერ კომპეტენტურობის კრიტერიუმი შეფასებულია სხვადასხვა კომპონენტით, კერძოდ: „სამართლის ნორმების ცოდნა“, „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია“, „წერის უნარი“, „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“, „პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში“, „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“, „პროფესიული აქტივობა“.

## **2.9. სამართლის ნორმების ცოდნა**

შემფასებლები მოსამართლის სამართლის ნორმების ცოდნის დონეს შესწავლილი გადანყვეტილებების მიხედვით აფასებენ. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან შედარებით, ამ კომპონენტის დასაბუთების ხარისხი ოდნავ მაღალია, თუმცა, იკვეთება ბევრი პრობლემა. შემფასებლები არ აღწერენ, სამართლის რომელი ნორმებისა და რა დონის ცოდნა გამოავლინა მოსამართლემ. ასევე, თუკი მან საქმეში მიუთითა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება, შეფასებაში არ ჩანს, რამდენად რელევანტურად იყო გამოყენებული ეს გადანყვეტილება და რამდენად სწორად იყო მითითება გაკეთებული. თავისთავად, გადანყვეტილების მითითება არ შეიძლება იყოს პოზიტიური შეფასების საფუძველი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, „სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით, შემფასებელი ითვალისწინებს

მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადანყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად, შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალი-ფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას“.

კანონი ცალსახად მოითხოვს მოსამართლის ცოდნის დონის დადგენას და არა – უბრალოდ კანონების ან გადანყვეტილებების მითითებას. შემფასებლებს შეფასების დასკვნებში უნდა დაესაბუთებინათ, რომ მოსამართლეები ავლენდნენ ან ვერ ავლენდნენ სამართლის ნორმებისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნას.

## **2.10. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის შეფასების დროს შემფასებლებმა უნდა გაითვალისწინონ მოსამართლის „მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადანყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.“<sup>24</sup>

აღნიშნულ კომპონენტში შემფასებლების დასკვნები მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან, როგორც წესი, მიმოიხილავენ მოსამართლის მიერ მიღებულ გადანყვეტილებებს და აანალიზებენ ამ გადანყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხს, რაც, რასაკვირველია, შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. პრობლემურია ის ფაქტი, რომ მოსამართლის გადანყვეტილებები შემთხვევითობის პრინციპით უნდა იყოს შერჩეული, თუმცა, შეფასების დასკვნებიდან შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მეთოდოლოგიით მოხდა საქმეების შემთხვევით შერჩევა. ასევე, არ არსებობს ინფორმაცია, რა მეთოდოლოგიით განხორციელდა მოსამართლის მიერ მიღებული გადანყვეტილებების შეფასება და აქვთ თუ არა შემფასებლებს აღნიშნული გადანყვეტილებების შეფასების დროს ერთიანი მიდგომები.

<sup>24</sup> საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 36<sup>3</sup> (9).

## 2.11. წერის უნარი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

წერის უნარის შეფასებისას, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მსგავსად, დასკვნები ხასიათდება შაბლონურობით. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ლევან მიქაბერიძის საქმიანობის შეფასების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, კახაბერ სოფრომაძის მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია:

„მოსამართლე ლევან მიქაბერიძის მიერ გამოტანილი გადანყვეტილებების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ:

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის მიერ საპროცესო დოკუმენტები გასაგები ენით არის დაწერილი და ადვილად იკითხება. ძირითადად დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები“.

შეუძლებელია, ამგვარი შაბლონური შეფასება ობიექტური დამკვირვებლის თვალში იყოს სარწმუნო წყარო მოსამართლის წერილთა უნარების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, ამ კომპონენტის მიმართაც შემფასებლებს ანალოგიური მიდგომა აქვთ. ერთმანეთის მსგავსი ჩანაწერები სხვადასხვა მოსამართლის მიმართ შეფასების პროცესისადმი შემფასებლების ფორმალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. მაგალითისთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, კახაბერ სოფრომაძის შეფასებები სხვადასხვა მოსამართლის მიმართ შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

„სასამართლო სხდომების აუდიო და ვიდეო ჩანაწერების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლე გოჩა ფუტყარაძე გამართულად მეტყველებს. საუბრისას ტონი არის აკადემიური, არ იყენებს შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას, ასევე, ჟარგონებსა და სლენგს.“<sup>25</sup>

ზუსტად ანალოგიური ჩანაწერია სხვა მოსამართლის შეფასების დასკვნაში. მაგალითად, მოსამართლე მურთაზ მეშველიანის შეფასების დასკვნაში იგივე შემფასებელი აღნიშნავს: „სასამართლო სხდომების აუდიოჩანაწერების შესწავლისა და სასამართ-

<sup>25</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გოჩა ფუტყარაძის საქმიანობის შეფასების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, კახაბერ სოფრომაძის მიერ მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი: 29.11.2014 – 29.11.2015.



ლო სხდომებზე უშუალოდ დასწრების შედეგად დგინდება, რომ მოსამართლე მურთაზ მეშველიანი გამართულად მეტყველებს. საუბრის ტონი არის აკადემიური, არ იყენებს შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას.<sup>26</sup> საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 36<sup>3</sup> (11) მუხლის შესაბამისად, „ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ლიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა“. შეესაბამება თუ არა აღნიშნულ მოთხოვნებს მოსამართლის ზეპირი კომუნიკაციის უნარი და რატომ მიიჩნევს შემფასებელი ასე, დასკვნიდან უნდა ირკვეოდეს.

## **2.12. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში**

აღნიშნულ კომპონენტშიც მოსამართლეების შეფასება შეიძლება მთლიანობაში დადებითად შეფასდეს, ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს ამ კომპონენტში ბევრად უფრო დეტალური, სიღრმისეული და ობიექტური დასკვნები აქვთ გაკეთებული, ვიდრე წერის უნარის ან კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასების დროს.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, შემფასებლები, როგორც წესი, მიმოიხილავენ მოსამართლის იმ თვისებებს, რომლებიც კანონით არის ჩამოთვლილი პროფესიული ნიშნით შესაფასებლად, ესენია: „პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადანწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.“<sup>27</sup> ამ

<sup>26</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მურთაზ მეშველიანის შეფასების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, კახაბერ სოფრომაძის მომზადებული დასკვნა. შეფასების პერიოდი: 29.11.2013 – 29.11.2014.

<sup>27</sup> საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 36<sup>3</sup>(12).

თვისებების შეფასებისას შემფასებლები აღნიშნავენ, რომ გამოიყენეს გამოთხოვნილი საქმეების აუდიომასალები, სასამართლო სხდომის ვიდეორჩანაწერები, მოსამართლის შეფასების კითხვარი, სტატისტიკური მონაცემები მოსამართლის საქმიანობის შესახებ და ა.შ. შემფასებლები სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებენ დასკვნას, არღვევს თუ არა მოსამართლე საპროცესო ვადებს და სხვა. ამიტომ ამგვარი შეფასება უფრო დამაჯერებელია და, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ კომპონენტში მოსამართლეების შეფასებები შედარებით კარგად არის დასაბუთებული.

### **2.13. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა**

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, ისევე როგორც პროფესიული აქტივობა, ისეთი კომპონენტებია, რომელთა შეფასებაც, წესით, ყველაზე მარტივად უნდა განხორციელდეს, ვინაიდან, თუკი მოსამართლეს ამ კუთხით აქვს მიღწევები, აღნიშნული ადვილი მოსაძიებელია. თუმცა, ამ კომპონენტებშიც იკვეთება პრობლემები, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეებს არ აქვთ აკადემიური მიღწევები, ან არ მონაწილეობენ პროფესიულ აქტივობებში (ტრენინგები, დისკუსიები და ა.შ.), შემფასებლები მოსამართლეს მაინც აფასებენ ზოგადად და შაბლონურად. შემდგომ, ქულებით შეფასების დროსაც, ნულის ან დაბალი ქულის ნაცვლად, აღნიშნული შაბლონური შეფასების საფუძველზე, მაღალ ქულებს წერენ. მაგალითად:

„მოსამართლე ხათუნა ხომერიკი ფლობს რუსულ (კარგად) და ინგლისურ (საშუალოდ) ენებს. იცავს საოფისე კულტურის წესებს, კერძოდ, არის პუნქტუალური და მონესრიგებული, ფლობს კომპიუტერულ საოფისე პროგრამებს.“<sup>28</sup> ამგვარი შეფასება არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურ საშუალებად აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის დასადგენად. მით უმეტეს, რომ ამ შეფასების საფუძველზე, მოსამართლეს 5 ქულიანი შეფასებიდან მიენიჭა 4 ქულა.

<sup>28</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ხომერიკის საქმიანობის შეფასების თაობაზე კახაბერ სოფრომადის მიერ მომზადებული დასკვნა. 29.11.2014 – 29.11.2015.

## რეკომენდაციები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მხარს უჭერს მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესის სრულად გაუქმებას, ვინაიდან დიდია მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის შექმნილი საფრთხეები, რომლებსაც გამოსაცდელი ვადით დანიშვნა იწვევს. ამასთან, საკითხის სიღრმისეული შესწავლა ადასტურებს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცესის ფორმალურ ხასიათს. მიუხედავად აღნიშნულისა, წინამდებარე ანგარიშით, გვსურს, ხაზი გავეუსვათ იმ ხარვეზებს, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას, რათა, სრულად გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, გაუმჯობესდეს მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პროცესი და შემცირდეს სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის შექმნილი საფრთხეები.

## მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- წილისყრის პროცედურა პრაქტიკაში ჩატარდეს ღია სხდომაზე, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი და გამჭვირვალობის პრინციპი.
- საბჭომ დაადგინოს გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა შეფასების წესი, რომელიც ნათლად აღწერს შეფასების შინაარსს, ობიექტურ კრიტერიუმებს, შეფასების პროცედურას, შეფასების წყაროებს და მტკიცებულებებს, ამასთან, წინასწარ იქნება ხელმისაწვდომი როგორც შესაფასებელი მოსამართლის, ისე ფართო საზოგადოებისთვის.
- საბჭომ დაადგინოს შესაფასებელი საქმეების შემთხვევით შერჩევის წესი.
- საბჭომ განსაზღვროს შესაფასებელი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასების წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-11 დასკვნით დადგენილ სტანდარტებთან და რომლითაც ყველა შემფასებელი ერთგვაროვნად იხელმძღვანელებს.
- საბჭომ დაადგინოს შესაფასებელი მოსამართლის სასამართ-

ლო სხდომებზე დასწრების/ვიდეოჩანაწერის შერჩევის შემთხვევითი პრინციპი და სასამართლო სხდომის შეფასების წესი, ასევე, კითხვარი, რომელზე დაყრდნობითაც შემფასებლები ერთგვაროვანი მიდგომით შეაფასებენ მოსამართლის მიერ ჩატარებულ სხდომას.

- საბჭომ დაადგინოს შემფასებლის მიერ კონსულტაციის გავლის წესი და იმ პირის შერჩევის პროცედურა, რომელთანაც შეიძლება შემფასებელმა გაიაროს კონსულტაცია. ასევე, რა საკითხებზე შეიძლება კონსულტაციის გავლა, კონსულტაციის ოქმის შედგენის სავალდებულობა, რაც იქნება შეფასების დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილი.
- საბჭომ განეროს შესაფასებელ მოსამართლესთან შეხვედრის მიზანი და წესი, რომელზეც შედგება ოქმი საბჭოს აპარატის დახმარებით. ოქმი იქნება მოსამართლის შეფასების დოკუმენტაციის ნაწილი.
- უნდა გაუქმდეს უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე უარის თქმის პროცედურა და მისი გასაჩივრების წესი. ორგანული კანონით უნდა დადგინდეს უვადოდ დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს მიერ დასაბუთებული გადანყვეტილების მიღების სავალდებულობა, ასევე, ამ გადანყვეტილების ეფექტური გასაჩივრების მექანიზმი.
- საბჭოს სხდომაზე შემფასებლების მოსმენის პროცესი უნდა ემსახურობდეს კონკრეტულ მიზანს და არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი.
- კანონით უნდა განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, დაადგინოს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების დეტალური წესი, რომელიც დააკმაყოფილებს წინასწარი განჭვრეტადობის მოთხოვნას, უზრუნველყოფს ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას.
- კანონით უნდა დადგინდეს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადებითი გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.
- კანონით უნდა განისაზღვროს შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების ეტაპების შემდეგ საბჭოს მსჯელობის მიზანი, საკითხები და პროცედურა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საბჭოს მსჯელობის ეტაპს მოსამართლისთვის.

- უნდა განისაზღვროს საბჭოს ვალდებულება, დაასაბუთოს მსჯელობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, განსხვავებით საბჭოს ცალკეული შემფასებლის ვალდებულებისგან, დაასაბუთოს მის მიერ გაკეთებული შეფასება.

**ჩამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები**

- თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, მოსამართლის შეფასებისას მეტი ობიექტურობისთვის, შემფასებლებმა შეფასების დასკვნები სათანადოდ უნდა დაასაბუთონ, ამასთან, შეფასების დასკვნები არ უნდა იყოს შაბლონური;
- შემფასებელი კონკრეტული დასკვნის გაკეთებისას უნდა უთითებდეს იმ ინფორმაციას, რომელიც დადებითი ან უარყოფითი შეფასების საფუძველი გახდა. დასკვნა იმგვარად უნდა იკითხებოდეს, რომ ობიექტურმა მკითხველმა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მოსამართლის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის შესახებ;
- შეფასების დასკვნებში უნდა აღინიშნოს, რა მეთოდოლოგიით მოხდა მოსამართლის მიერ განხილული ხუთი საქმის შერჩევა და რა მეთოდოლოგიით შეფასდა ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;
- თუ შემფასებლის მიერ მოძიებული ინფორმაცია მოსამართლის შეფასების განხორციელებისას არასაკმარისია, შემფასებელმა აღნიშნული უნდა ასახოს დასკვნაში და მოსამართლეს ზოგადი შეფასება არ უნდა დაუნეროს;
- შემფასებლის მიერ დანერგილი ქულები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების დასკვნაში ჩამოყალიბებულ დასაბუთებას.